# დროება

№ 109 ხუთშაბათი, 21 მაისი 1909 წ. № 109

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროება» [illegible] ... თითოეულ სტრიქონს 4 სავათამდე ღირს 3 მან.. ...თის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

[illegible] ... ღირს 1 მან., ხელი ხზვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



ილიკო გიორგის ძე და ანნა იოსების ასული გოშაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათ საყვარელ შვილის

სოლო გოშაძის

გარდაცვალების წლის თავზე, შაბათს, ოცდა სამ მაისს, თელავში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა—საკათედრო ტაძარში, პანაშვიდი—განსვენებულის საფლავზე. (1—უ.—1)

კვირას, 24 მაისს, დილის 11 საათზე, შულავერში გადახდილი იქნება ორმოცის პანაშვიდი [illegible]

სალომე და ვახტანგ ნიკოლოზის ასულისა და ძის

რცხილაძეთა

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა, მამა და ძმა. (1—278—1)

მუშტაიდის ბაღში კვირას, 24 მაისს, 1909 წ.

საზოგადოება „განათლება" მართავს

დიდ სეირნობას

1. გასართობები ბავშვებისთვის: შვილდისარი, ჯირითი ველოსიპედით, კარუსელი და სხვ.;
2. ბაზარი "Boue de le chance", ვისია ყანწი, ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი, ყვავილები, კონფეტი, ტროლეილი მომღერლები, სამხედრო მუსიკა და [illegible].

დასაწყისი 2 საათზე.

შესასვლელი ფასი 20 კაპ., ყმაწვილებისთვის 10 კ. (5—უ.—2)

ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის [illegible] ცხადებს, რომ გამზრახულ

სალიტერატურო კრებულის

მასალების წარმდგენისთვის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 15 ივნისი. მასალა უნდა წარედგინოს საბჭოს წევრებს [illegible] (5—უ.—2)

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი:

საქართველოს სიძველენი

ტომი მეორე

პალეოგრაფიულის ალბომით

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ფასი 3 მან. 50 კაპ.

ეს წიგნი უფასოდ დაეგზავნება საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების [illegible] 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.) [illegible] (10—2)

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და გახა-ხყიდად დაურიგდებათ წიგნის მაღაზიებს

ვასილ ყიფიანის

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

სამეგრელოს მთავარი

ლევან

ფასი 40 კაპ.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების" კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ.

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ ქართულად გამოსცა გოეტეს [illegible]

ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, [illegible] წიგნი შეიცავს 486 [illegible] ფასი 1 მან. 25 კ. [illegible] „შრომის" სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія «Шрома», Василію Болквадзе. (10—6.—5)

მიიღება ხელის მოწერა

დუტუ მეგრელის ნაწერებზე

ორ წიგნად: 1) ლექსები, 2) მოთხრობები.

[illegible] (10—უ.—6)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფელდმანი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

გ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

სალამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—63)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდერონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—148)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში მ. წერეთელი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი

იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—81)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი გ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი გ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 66)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე $2^1/_4$—4 ს.

კალამქაროვი—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგუსლავსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $10^1/_2$—$11^1/_2$ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ნევზოროვა—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

პივარსკი—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—39)

ექიმი ა. დიასამიძე

სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში", ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

გამგეობა საზოგადოებისა

„განათლება"

ამით აცხადებს, რომ მის ქალთა პროგიმნაზიაში გამოცდა მისაღებად პირველ სამ მოსამზადებელ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ 1 და 2 კლასში დანიშნულია 26, 27 და 28 მაისისთვის.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6. (3—უ.—3)

დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—2)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

[illegible] იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (25—ნ—9)

ქართული თეატრი

შაბათს, 23 მაისს

შ. საფაროვისა და ვ. მატარაძის

საბენეფისოდ

ქ-ნ დავითაშვილის მონაწილეობით ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

პატარა კახი

ისტორ. პოემა 5 მოქ. აკაკი წერეთლისა. კახის როლს შეასრულებს ქ. დავითაშვილი.

მეურაქ-აღა და შანტაჟისტები

კომ. 1 მოქ. ნამისა.

მონაწილეობს მთელი ამხანაგობა. ადგილების ფას. დაკ. დასაწ. სწ. $8^1/_2$ ს. (2—1) რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ს.-პეტერბურგის სპეცია-ლისტ სტუდენტთა ჯგუფი

ამზადებს მოწაფეებს როგორც სიმწიფის მოწმობის მისაღებად, ისე ყველა საშუალო კლასებსა და ხელახლა გამოცდის დასაჭერად. ყველა საგნებისათვის და უცხო ენებისათვის ცალ-ცალკე სპეციალისტები არიან. ყოველ მოწაფესთან მეცადინეობა ცალკე იქნება.

ადრესი: ტფილისი, ვარდისუბნის ქუჩა, სახლი N 3, სტუდ. მამრაძე. შეიძლება ადრესის „დროების" რედაქციაში დატოვება. (3—ნ.—1)


## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

### წვრილი კანონ-პროექტები.

19 მაისის სხდომაზე სათათბირომ განიხილა რამდენიმე წვრილი და უმნიშვნელო კანონ-პროექტი. სათათბირომ პირველად ფეხზე ადგომით პატივი სცა ახლად გარდაცვლილ დეპუტატის პერგამენტის ხსოვნას.

წაიკითხეს სია მთავრობის მიერ ახლად შეტანილ კანონ-პროექტებისა და გადასცეს შესაფერ კომისიებს. ერთმა კანონ-პროექტმა მცირე კამათი გამოიწვია იმაზე—გადასცენ თუ არა კომისიას. ეს კანონ-პროექტი შეეხება პოლონეთიდან ხოლმის გამოყოფას და ცალკე გუბერნიის დაარსებას. მკითხველებმა უკვე იციან ეს ამბავი. ხოლმი იმ თავითვე პოლონეთს ეკუთვნის, მაგრამ რაკი იქ მცირეოდენი რუსობა სცხოვრობს, მთავრობას უნდა გამოჰყოს მთელი კუთხე და, ამრიგად, ჩამოაშოროს პოლონეთის გავლენას. იმის შესახებ, გადაეცეს თუ არა ეს კანონ-პროექტი კომისიას, ილაპარაკეს გეგეჭკორმა და მაკლაკოვმა. პირველმა სთქვა: კანონ-პროექტი უარყოფილ უნდა იქმნას კომისიაში გადაუცემლად. მთელი კუთხის გამოყოფა და ახალ გუბერნიის შექმნა მთავრობის საქმე არ არის: ამის შესახებ მცხოვრებთ უნდა ეკითხოთ, ყველა სრულ-წლოვანს სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად. ახალი კანონ პროექტი თვით-მპყრობელ მთავრობის ძალ-მომრეობის შედეგია. მთავრობა ამით ჯავრსა ყრილობს პოლონელებზე. მთავრობამ ამით გასცა პასუხი პოლონელებს, რომელნიც ავტონომიას თხოულობენო.

მაკლაკოვი არ დაეთანხმა გეგეჭკორის იმ აზრს, რომ კანონ-პროექტი უარ-ყოფილ იქნას კომისიაში გადაუცემლად. იმის აზრით, ნაკაზის ძალით, სათათბიროს კომისიაში გადაუცემლად არ შეუძლიან არც მიღება, არც უარ-ყოფა რაიმე კანონ-პროექტისა.

თავმჯდომარემ მაინც კენჭი უყარა და სათათბირომ დაადგინა, გადასცეს კანონ-პროექტი კომისიას.

შემდეგ თავმჯდომარემ სთქვა: სათათბირომ უნდა მოისმინოს განცხადება, რომელიც ზემოხსენებულ კანონ-პროექტს უნდა მიეკეროს, როგორც მასალა; არ შეიძლება განცხადების არც განხილვა, არც მის გამო კენჭის ყრაო.

ეს განცხადება პოლონელ დეპუტატთა სახელით შეიტანა დეპ. იარონსკიმ. მან სთქვა: პოლონეთის სამეფო რუსეთის იმპერიაში განუყოფელ ერთეულს წარმოადგენს. მას თავისი კანონები აქვს, საკუთარი ადგილობრივი დაწესებულებანი და საზღვრები. მთავრობის კანონ-პროექტი-კი ხოლმის გამოყოფის შესახებ არღვევს ამ საზღვრებს. მთავრობა მიზეზად იმას იდებს, რომ რუსის ერს და მართლ-მადიდებლობას ვიცავო. პროექტის მიზანია პოლონელ ელემენტის დენაციონალიზაციით ხელი შეუწყოს მართლ-მადიდებელ რუსთა გაბატონებას. ამ პროექტით ძირი ეთხრება 17 აპრილის ბრძანებას და 17 ოქტომბრის მანიფესტს. პოლონელები ამ პროექტში ჰხედავენ თავიანთ უფლებების გათელვას და ძალ-მომრეობის პოლიტიკის გაბატონებასაო.

როგორც ზემოდა ვთქვით, ამ დღეს სათათბირომ უმნიშვნელო კანონ-პროექტები განიხილა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მაისი

### ოსმალეთი

**სალონიკი.** 15 მაისს, როდესაც ჯარი ქალ. დიაკოვის ქუჩებზე მიდიოდა, ალბანელთა სახლებიდან სროლა დაუწყეს მას. ჯარმა უპასუხა; სროლამ კარგა ხანს გასტანა. ბევრნი დაატუსაღეს. ჯევად-ფაშამ, რომელიც დიაკოვში იმყოფება, უბრძანა ალბანელებს, ნება-ყოფლობით ჩააბარეთ იარაღი ჯარსაო. ალბანელებმა უარი უთხრეს. ჯევად-ფაშა ალბად სასტიკ ღონისძიებას მიიღებს მათ წინააღმდეგ. ქალ. პრიზრენის გუბერნატორი ჯარით დადის ოლქებში, იარაღს ართმევს ხალხსა და გადასახადებს ჰკრეფს.

### სპარსეთი

**სტამბოლი.** 18 მაისს სპარსეთის კონსულმა ბეჯითად სთხოვა ოსმალეთის მთავრობას პასუხის მოცემა იმ ნოტაზე, რომლითაც სპარსეთმა ამას წინად მოითხოვა ოსმალეთის ჯარისა და ოსმალელ ქურთების გაყვანა სპარსეთის სამფლობელოდან.

**ლონდონი.** რეიტერსატყობინებენ თეირანიდან: რევოლიუციონერების კომიტეტმა შეატყობინა პირველ მინისტრს საადუდ-დოულეს, რომ კომიტეტი იშლება, რადგან მთავრობას ან არ შეუძლიან ან არა ჰსურს დახმარება გაუწიოს კომიტეტს კონსტიტუციონურ რეჟიმის დამყარებაში.

**თეირანი.** ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს ალაუდ-დოულე. ნასირ-ულ-მულკას შეაძლიეს პირველ მინისტრისა და ფინანსთა მინისტრის თანამდებობა.

**თავრიზი.** ოსმალეთის კონსულმა სპარსეთის ადგილობრივ მთავრობას ოფიციალურად განუცხადა, რომ სათარ-ხანი, ბაგირ-ხანი და მათი შეიარაღებული ფიდაები ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიანო.

### საზღვარ-გარედ.

**გეპანგენი** (გერმანია). გრაფმა ცეპელინმა რეიხსტაგს დეპეშით აცნობა, ჰაეროსტატის შეკეთებას 6 კვირა დასჭირდებაო. 25 მაის დეპუტატები ჰაეროსტატით უნდა გაფრენილიყვნენ, მაგრამ რადგან ჰაეროსტატი გაფუჭდა, გაფრენა გადაიდო.

**გეპანგენი.** ჰაეროსტატი „ცეპელენ მეორე"-ს წინა ნაწილი შეუკეთეს. ჰაეროსტატი გაფრინდა ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე.

**პარიზი.** ქალაქის ახლო-მახლო ადგილებში გააფუჭეს ტელეფონის მავთულები. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ მავთულები ანარქისტებმა გააფუჭესო. სასტიკი ზომებია მიღებული.

**ლონდონი.** „ტაიმს" პეშავერიდან ატყობინებენ: ინგლისისა და ავღანისტანის საზღვრის მახლობლად, მდინარე კერამთან, ავღანისტანელების შეიარაღებული რაზმი თავს დაეცა ადგილობრივ მცხოვრებთ, რომელნიც სარწყავ არხს აკეთებდნენ. ავღანელებს და კერმასის მილიციას დიდი სროლა მოუხდათ. კერმასის მილიცია სარწყავ არხს იცავს.

**გეპანგენი.** ცეპელინის ჰაეროსტატი იმიტომ დაზიანდა, რომ მიწაზე დაშვების დროს ჰაეროსნატის მესაჭემ მსხლის ხე ვერ შეამჩნია, ამ ხეს დაეჯახა ჰაეროსტატის წინა ნაწილი. ჰაეროსტატი ძალიან დაზიანდა. მცხოვრებნი ალტაცებით მიეგებნენ ცეპელინს.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სადგომში გადაიხადეს პანაშვიდი დეპუტატ პერგამენტის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი, სათათბიროს უფროსი ვიცე-პრეზიდენტი, დეპუტატები და სხვანი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს კომისიამ (116 ხმით წინააღმდეგ 8) არ მიიღო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც უნდა გადადებულიყო დასავლეთ რუსეთის 1 გუბერნიაში სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევნები. კომისიის უმრავლესობის აზრით, ამ გუბერნიებში უნდა შემოღებულ იქმნას საერობო დაწესებულებანი. ეს დაწესებულებანი მოსპობენ ეხლანდელ საარჩევნო კანონის ნაკლულოვანებას.

**ნოვოჩერკასკი.** სხვა და სხვა ადგილას გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კურსები. კურსებზე ასწავლიან პურის მოყვანის კულტურას მანჯურიის სისტემით.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სამხედრო სასამართლომ დაამთავრა სამხედრო მწერალთა კავშირის საქმე. სამართალში მიცემული იყო 29 კაცი. აქედან 22 კაცს სასამართლომ გადაუწყვიტა კატორგა 1—10 წლით, დანარჩენი 7 კაცი გაამართლა.

სამხედრო სასამართლომ განიხილა კაპიტან ვნუკოვის საქმე. კაპიტანი ვნუკოვი რუსეთ-იაპონიის ომის დროს კუნძულ სახალინზე უფროსობდა თავისუფალ მეომართა რაზმს. მას აბრალებდნენ, რომ თავის რაზმით იაპონელებს დაჰნებდაო. კაპიტან ვნუკოვს ერთი ფეხი მოჭრილი აქვს, მეორეც უნდა მოსჭრან. მას ფეხები შახეს ბრძოლის დროს დაეყინა. სასამართლომ ვნუკოვი გაამართლა.

**ნოვოჩერკასკი.** შეიარაღებული მცარცველები ეკატერინინის გზაზე თავს დაესხნენ სადგურ როვენკას. ბოროტგამზრახველებმა მოჰკლეს სადგურის უფროსი, დასჭრეს მისი ცოლი. წაიღეს 1000 მანეთი. თავდამსხმელები მიიმალნენ.

## საქართველოს საექსარხოსოს გაუქმება

ამ სათაურით „რეჩ“-ში დაბეჭდილია წერილი. მოგვყავს სრულად:

„უწმ. სინოდში აღიძრა საკითხი საქართველოს საექსარხოსის შესახებ, მიტროპოლიტმა ვლადიმერმა და ფლავიანემ შეიმუშავეს პროექტი საქართველოს საექსარხოსოს გაუქმების შესახებ. პროექტით საექსარხოსო იყოფა სამ დამოუკიდებელ ეპარქიად: გურია-სამეგრელოს, საქართველოს და ბაქოსი. პროექტის შემდგენელებს თავიანთ პროექტის დასასაბუთებლად ექსარხოსის ნიკონის მოკვლა მოჰყავთ. მათის აზრით, ნიკონის მოკვლაში საქართველოს ყველა პოლიტიკურ პარტიას მიუღია მონაწილეობა. საექსარხოსო ქართველობას რუსეთიდან გამოყოფისკენ მიჰყავს, საქართველოს სეპარატიზმი მასში კარგ ნიადაგს ჰპოულობს და ვითარდებაო.

„ამ პროექტს ზოგიერთი მღვდელმთავარი არ ემხრობა, მათ შორის პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონიც. პროექტის მოწინაამდეგენი თავიანთ აზრს იმით ასაბუთებენ, რომ სინოდს საშუალება არა აქვს ახალი ეპარქიები შეინახოს და, ამას გარდა, ადგილობრივი მცხოვრებნიც უკმაყოფილონი იქნებიანო. ჯერ კიდევ ნიკონის დროს, როდესაც პირობები ჩვეულებრივი იყო, ამბობენ „რეფორმის“ მოწინაამდეგენი, რუსი მღვდლები იძულებულნი იყვნენ, თავიანთ მრევლი მიეტოვებინათო. რაც უნდა იყოსო, ამბობენ ესენი, ექზარხოსები მთელი საქართველოს, როგორც ერთეულის, ინტერესების წარმომადგენელნი იყვნენ, იცავდნენ მას და მისთვის შუამდგომლობდნენ უმაღლეს მთავრობის წინაშეო. ისინი აშენებდნენ ტაძრებს, უვლიდნენ ძველ ნაშთებს და ინახამდნენ მღვდლებს. საეგზარხოსოს გაუქმება საქართველოში არეულობას გამოიწვევსო.

„ჯერ არავინ იცის, როგორ გადასწყდება ეს საკითხი. საეგზარხოსოს გაუქმების მოწინაამდეგენი საქართველოს ეგზარხოსის კანდიდატებად ასახელებენ ვარშავის მთავარ-ეპისკოპოს ნიკოლოზს და ტამბოვის მთავარ-ეპისკოპოს ინოკენტის“.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**შრომის ბირჟა.** 15 მაისს დაიწყო მოქმედება ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის მიერ დაარსებულმა შრომის ბირჟამ. ხუთის დღის განმავლობაში შრომის ბირჟის მუშაობა გამოიხატა შემდეგში: სულ ჩაეწერა 152 კაცი, რომელნიც ეძებენ სამუშაოს. 90 მამაკაცია, დანარჩენნი დედაკაცები. შრომის მძებნელებში 10 „კანტორშჩიკია“, 3 ტეხნიკოსი და დანარჩენნი მოსამსახურენი, მეეზოვენი და სხვანი.

**სომხების დეპუტაცია.** გუშინ ერევნის გუბერნიიდან ჩამოვიდნენ ქალაქის თავები ერევნისა— ალიმალიანცი, გუმბრისა—ტიგრანიანცი და ახალ-ბაიაზეთისა—ბადიკიანი. ამათ დავალებული აქვთ ერევნის სომხებისაგან წარუდგნენ ნამესტნიკს და აღძრან შუამდგომლობა, რომ შეჩერებულ იქნეს სომეხთა საზოგადო მოღვაწეთა ჩხრეკა და დაპატიმრება და ვინც იქმნა დაპატიმრებული, დაჩქარებულ იქმნას მათ შესახებ საქმის გამოძიება და გარჩევა. დეპუტაცია კავკასიის ნამესტნიკს წარუდგება დღეს, 21 მაისს.

**დარჩენილი გადასახადები.** ქალაქის სამეურნეო სავაჭრო პოლიციის აგენტები მხნედ შეუდგნენ დასაფასებელ და სხვა გადასახადების მოკრებას. აგენტები ყოველ კანონიერ საშუალებას ხმარობენ გადასახადების მოსაკრებად. ამან, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო ქალაქის ფინანსიურ მდგომარეობის გამოკეთებას. ბევრ შეძლებულ კაცზეა დარჩენილი გადასახადები. ვერის ნაწილის სამეურნეო პოლიციის აგენტმა შუამდგომლობა აღძრა ამ დღეებში ქალაქის გამგეობის წინაშე, გადასახადების ასანაზღაურებლად გაეყიდოთ მამულები ა. დ. სურენიანცის (რომელზედაც ითვლება 3571 მან. ძველი გადასახადი), ვ. ბ. და ო. ფაგანიანცებს (ითვლება 1900 მან.), რუვინსკის (1700 მან.) ს. ი ზედგინიძეს (250 მან.) გამგეობა ამ დღეებში გადასწყვეტს ამ საქმეს.

**გვალვა ფრონის ხეობაში.** ფრონის ხეობიდან გვწერენ: დიდი გვალვებია, მოსალოდნელია შიმშილი, თუ ამ ცოტა ხანში ციდან ნამი არ გაუჩნდა დედამიწას. მეღრისელებმა და სამწყვლელებმა შიმშილობის დროს ივალეს საკვებ თანხიდან 750 მან. ეხლა ამისთანა დროს სასოფლო სამმართველოში ბრძანება მოვიდა, ეს ფული გადაიხდევინეთო. მამასახლისმა ამხორა თათაშვილმა შეატყობინა, რომ ამ ფულის გადახდა ეხლა არ შეუძლიანთო. ჯერ-ჯერობით გადახდევინება შეჩერებულია.

**თავ. ერისთავის მოკვლის შესახებ.** ქართლიდან გვწერენ: სოფ. კნოლევში, როგორც უკვე დაბეჭდილი იყო, საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ერთ ოჯახში სუფრაზე თ. მიშა ბაგრატიონს და თავ. ჰიჰიკო ერისთავს შეხირება მოუვიდათ ღვინის დალევაზე. მიშა ბაგრატიონმა ცხვირ პირში უკუღმა ხელი შემოჰკრა ჰიჰიკო ერისთავს. ამ უკანასკნელს სისხლი წასკდა, მაშინვე ქალებმა ერისთავი გამოიტაცეს, მაგრამ თავ. ბაგრატიონი გამოუდგა და ხელმეორედ შემოჰკრა ერისთავს და ბოლოს მუცელში ხანჯალიც ჩასცა. ერისთავმა ხუთი წამიც ვეღარ იცოცხლა.

**რუსების გადმომსახლებელ სამმართველოს გაუქმება.** ქალაქში ხმა დადის, ვითომ მთავრობა აუქმებდეს ტფილისში არსებულ რუსთა გადმომსახლებელ სამმართველოს.

**ილიას ფონდი.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მიიღო ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად ქუთაისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურეების გან 12 მან. 30 კაპ.

**ორი ახალი წიგნი.** წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიამ პეტერბურგიდან გამოიწერა და მიიღო პროფესორ ნ. მარრის ორი ახალი სამეცნიერო გამოკვლევა: 1. „Іоаннъ Петрицій, грузинскій неоплатоникъ XI—XII в.“ და 2. „Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи,“ кн. IX.

**ხორცის ნიხრი.** 18 მაისს სხდომა ჰქონდა ტფ. ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას. ორი თვეა, რაც ტფილისში ხორცი 14-15 კაპეიკად იყიდება. როცა ხორცის ფასი თვით ყასაბებმა დაუკლეს, მაშინ შეიკრიბა სამეურნეო კომისია. აქამდე კი არც კი ცდილა გამოერკვია მიზეზები ხორცის სიძვირისა. ამ სხდომაზე კომისიამ დაადგინა, ძროხის ხორცის ნიხრად 13 კაპეიკი დაწესდეს, ხოლო ცხვრის ხორცის ნიხრი ისევ ძველი დარჩესო.

**სამხედრო ბეგარა.** ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულო უკვე შეუდგა წელს სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეულ ყმაწვილ კაცთა სიის შემოწმებას. რადგან საქმის ვითარების არ ცოდნით ბევრი შეღავათის მქონე ჰკარგავს უფლებას, საჭიროა სამხედრო ბეგარაში გაწვეულებმა ეხლავე წარადგინონ საჭირო ცნობები.

**ქალაქის საბჭო.** დღეს, 21 მაისს, საღამოს 8 საათისთვის, დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. განსახილველია 15-მდე საქმე.

**უპასპორტოები.** პოლიციის მე 4 ნაწილში გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 6 კაცი, რომელთაც პასპორტები არ აღმოაჩნდათ.

**ცეცხლი ბაქოში.** ბაქოში, ბიბი-ეიბათში ცეცხლი გაჩნდა ნავთის სამრეწველოებს. იწვის თურმე ნავთის ორი კოშკი ფითოევისა და ორიც მირზოევისა. ზარალი დიდია.

**ლევან ყიფიანი და „ტიფ. ლისტოკი“.** „ტიფ. ლისტ.“-ს გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია ლევან ყიფიანის შემდეგი წერილი: „ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ იცოდეთ თქვენ, თქვენმა თანამშრომლებმა და მკითხველებმა, რომ მე აღარა ვარ გაზ. „ტიფ. ლის.“-ს თანამშრომლად.“

27 მაისს, საღამოს 8 საათისათვის, დანიშნულია ტფ. მოქალაქეთა სამმართველოს დარბაზში კრება ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულებისა

აპრილის განმავლობაში ქალაქის პირველსა და მეორე ღამის თავშესაფარ უსარგებლნია 4765 კაცს, აქედან 3424 ყოფილა რუსი, 1188-სომეხი, 718-ქართველი, 221-პოლონელი 88-გერმანელი, 34-თათარი და 2 ებრაელი,

ახალ-არსენალის ქუჩაზე მარიამ იგნატენკოვას ბინაზე, 19 მაისს, საღამოს 10 საათზე, პეტროს ტერ-მოსესოვმა, პოლიციის ცნობით, ქალს ყელში წაუჭირა და მოსთხოვა ფული. ქალის ყვირილზე პოლიციელი გაჩნდა და გაქცეული ტერ-მოსესოვი დააპატიმრა.

19 მაისს, ღამის 12 საათზე, შემახის ქუჩაზე ვიღაცამ დანით მუცელში დასჭრა სიღნაღის მოქალაქე სტეფანე ყაზაროვი, ძველი ტანისამოსით მოვაჭრე, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს. პოლიციამ ეჭვი მიიტანა ვანო ბედოევზე, რომელიც, დაჭრილის ძმის სიტყვით, ყაზაროვს ემტერებოდა რადგან ამ უკანასკნელმა ბედოევს ქმრის მოპარვა დააბრალა და იგი ამისთვის დააპატიმრეს.

20 მაისს, დილის 6 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე პოლიციამ დააპატიმრა განჯის მცხოვრები ოჰანეს მელიქ-შათოესიანცი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ნაგანის რევოლვერი და 34 პატრონით სავსე პანტრანტაში. რევოლვერი დაპატიმრებულს გაქცევის დროს გადაუგდია გზაში.

გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, რომელთაც გლეხებში გასავრცელებლად წიგნები გადმომცეს. სია შემომწირველთა: ტფ. წვრილ ვაჭართა პროფესიონალურ საზოგადოება აკაკის რჩეული ლექსები, 100 ცალი; ანდრია ღულაძე—სხვა და სხვა სახელმძღვანელო წიგნი, 33 ცალი; ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე—ქართული სამკურნალო ფურცელი—30 ცალი. იმედია, რომ სხვებიც მიჰბაძავენ ამათ და თავიანთ წვლილს არ დაიშურებენ. ან. კაპანაძისა“.

ნავთლუღის სადგურის მახლობლად პოლიციამ დააპატიმრა გეურქ ათაბეგოვი, რომელიც 2 ფუთი თევზი მოეპარა განჯელ ვაჭრის ივანე ალექსანდროვისთვის და მიჰქონდა.

## ლუკა ჯავახიშვილი

16 მაისს ბორჩალოს მაზრაში სრულიად მოულოდნელად წუთი-სოფელს გამოესალმა ჯერეთ ახალგაზდა ექიმი ლუკა ანტონის ძე ჯავახიშვილი. განსვენებული ცხენიდან გადმოვარდა. 16 მაისს მოკლულის კაცის გასაჭრელად მიდიოდა, უეცრად უქეიფოდ გახდა და გარდაიცვალა. მეგობარნი და ნაცნობნი გულ-წრფელად დ აღონა ამ დაკარგვამ.

განსვენებული დაიბადა 1868 წ. მისი მამა ღარიბი ქართლელი აზნაურის შვილი იყო. მისი ქვრივი დედა ექვს შვილსა ზრდიდა. ბავშვი მისცეს ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. მეორე წელსვე პირველ გიმნაზიაში გადავიდა და 1888 წელს გაათავა იგი ვერცხლის მედლით. უნივერსიტეტში შესვლისას კავკასიის სტიპენდია დაუნიშნეს. შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტში განსვენებულმა დიდი სახელი და პატივ-სცემა დაიმსახურა სტუდენტებისა. ამის დამამტკიცებელი ისაა, რომ ჯავახიშვილი აირჩიეს კურსის მამასახლისად, თუმცა იმის კონკურენტად იყო სტუდენტობაში დიდად პოპულარული შინგარევი, რომელიც დღეს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატია.

1895 წელს გაათავა უნივერსიტეტი და [illegible] ბრძოლველად. ამავე წელს ჩამოვიდა საქართველოში და შეუდგა აქ მუშაობას. მას აქეთ მთელი თოთხმეტი წელიწადი სოფლად სცხოვრობდა და ექიმობდა და მხოლოდ ერთ წელიწადს დაჰყო ტფილისში მიხეილის სამკურნალოში. ჯერ იყო თიანეთის მაზრის ექიმად, მერე თელავის სოფლის ექიმად და ბოლოს, 1906 წლიდან, ბორჩალოს მაზრის ექიმად.

განსვენებულმა ყველგან დიდი სიყვარული დაიმსახურა გლეხებისა. მუდამ დაუზარებელი და ნამდვილი ძმა და მეგობარი იყო სოფლელებისა. თავის თავზე თითქმის სულ არა ზრუნავდა და კიდეც ამიტომ არაფრისგან არაფერი დარჩენია. განსვენებული ინახავდა დებს და ძმების ოჯახებს, თითონ უკოლშვილო იყო.

ჯავახიშვილის ნიჭის პატრონი მეცნიერი უნდა გამოსულიყო, გარემოება რომ სხვა რიგად მოწყობილიყო. 1902 წელს განსვენებულს თავად-აზნაურთა სტიპენდიის აძლევდნენ საზღვარ-გარედ წასასვლელად სამეცნიერო აზრით, მაგრამ განსვენებულმა სტიპენდიაზე უარი სთქვა და სიკვდილამდე სოფლის ექიმად დარჩა.

## მოწერილი ამბები

**ახალციხე.** 3-4 წელიწადი იქნება, რაც გვალვების წყალობით ჩვენი ქვეყანა სატიალობას განიცდის. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი გლეხის ოჯახს ერთხელაც არა ღირსებია ხმელა პურით გაძღომა. რაც გააჩნდა სახლში გლეხს ყველაფერი მიჰყიდ-მოჰყიდა და ცარიელზე დაჯდა. გულ-გახში ჩაეცდოთ. ამ უფიოთ, როგორც იყო, დღემდის მოიტანა სული იმ იმედით, რომ წრევანდელი წელიწადი მაინც გაუღიმებდა და წარსულ ზარალს თუ არ აუნაზღაურებდა, გამოსაკვებს მაინც მისცემდა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა. წრევანდელი გაზაფხული უწვიმოდ დადგა ჩვენში და უწვიმოდ გავიდა. საშინელი გვალვებია; როგორც ნათესი, ისე საბალახო ადგილები გადიხრუკა და უდაბნოდ იქცა. სიცხე-პაპანება ისე გაძლიერდა, რომ ბაქოს შუა ზაფხულის სიცხეებს გადააჭარბა. თუ ახლო მომავ-

---

# ტრაგიკული გრძნობა ქართულ პოეზიაში

**ტრაგიზმი ილია ჭავჭავაძის პოემებში: „განდეგილი“ და „მეფე დიმიტრი თავდადებული“.**

14 *)

ის გარეგნული მდგომარეობა, რომელშიაც მგოსანმა განდეგილი ჩააყენა, შეუდარებლად უწყობს ხელს იმ მოვლენათა შექმნას, რომელნიც თან დასდევენ ყოველს ასკეტიზმს: მონოიდეიზმს, სარწმუნოებრივ ექსტაზის და სასწაულებრივ ხილვათა გამოწვევას. ადამიანის ცნობიერებას გაუჭირდება მთელ სულიერ ენერგიის კონცენტრაცია ერთი იდეის გარშემო და მას ყოველი მხრიდან მოვლენათა სიმდიდრე და სხვა და სხვაობა აღეზიანებს და ხელს უშლის მოადუნოს გრძნობის და შეგნების სხვა მრავალ მხრივი მოთხოვნილებანი. საჭიროა ზღუდის აშენება ცნობიერებასა და გარეგნულ შთაბეჭდილებათა შორის, საჭიროა მოვლენათა უცვლელობა და ერთფეროვნება, რომ ადამიანის სულიერი ბუნება მართლაც ისე მოდუნდეს, რომ მან განდეგილივით შესძლოს თავი მისცეს ერთს იდეას, ერთს აზრს უზენაესს არსებაზე და საიქიო ცხოვრებაზე. თავის მიუწდომლობით თვით ორბთა და არწივთათვის, თავის ერთფეროვან სიდიადით და ამაყ განმარტოებით განდეგილის სამყოფი საუკეთესო ნიადაგს ჰქმნის აბსტრაქტულ აზროვნებისა და მონოიდეიზმისათვის: ის სცხოვრობს და იღწვის სულისათვის მყინვარის მწვერვალოზე.

სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა ჰდნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია...

ერთის იდეით გატაცებას, ყურადღების დახშობას ყოველ გარეგნულს შთაბეჭდილებათათვის კი ადვილად მოსდევს სასწაულებრივი ხილვა, რომელსაც მწირი თავის მოღვაწეობის უზენაესს დაგვირგვინებადა სთვლის, იმის მოწმედ, რომ მისი ზეკაცური იდეალი მიღწეულია, რომ მისი ლოცვა-ვედრება შეწირულია, მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია; სხივის სახით, რომელიც მის ლოცვანს იჭერს, განდეგილს მოევლინა უდიდესი ღვთაებრივი წყალობა, უდიდესი ძალა, რომელიც მას აშორებს ადამიანობასა და ბუნებრივობას და წმინდანად ან ზეკაცად ჰხდის:

ოდეს უდაბნოს გასწრივ მის წვერზედ
მზე სხივ გაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ლოცულობდა, ამ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდნებდა,
და ხორც უსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა.

ამგვარად, ტიტანისებურის ნების ყოფის ძლიერებით განდეგილმა შექმნა სააქაო ცხოვრებაში თავისი საკუთარი ქვეყანა. სრულიად დამოუკიდებელი გარეშემოსაგან, თავისუფალი უცხო მოვლენათა გავლენისაგან, თავის განცალკევებულ, სხვისთვის მიუწდომელ გზით მიმდინარე. მან გამოაშკარავა ამით ანტისოციალობა იმ რწმენისა და მსოფლიო შეხედულების, რომელიც თავის იდეალად ისახავს არა ახალ ღირებულებათა შემოქმედებას, არამედ მთელ ძალღონის მოკრეფას უკვე არსებულ ღირებულებათა, განსაკუთრებით ინდივიდუალურ შეგნების შესანახად. რადგან ყოველი ურთიერთობა ამ წმინდა სავანესა და და ბიწიერს ქვეყანას შორის მოსპობილია, რადგან ამ სიმაღლეზე, სადაც ეს ზეკაცი იმყოფება, „თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა“, განდეგილისთვის ერთის შეხედვით არ არსებობს შესაძლებლობა ტრაგიკულ კონფლიქტისა, ბრძოლისა და დაღუპვისა, მით უმეტეს რომ ის სარწმუნოებრივი იდეალი, რომლისაკენაც იგი ილტვის, მისაწვდომი აღმოჩნდა მისთვის. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ განდეგილს არც მტერი ჰყავს და არც მოყვარე, რომელსაც შეეძლოს გადაეღობოს მას გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის მარტოდ-მარტოა თავის თავთან თავის შეურყეველ რწმენით, სასოებით, იდეალებით და მოჩვენებებით, მისთვის შესაძლებელი ხდება ტრაგიკული ბრძოლაც და დამარცხებაც მასზე უძლიერესს მტერთან შეტაკებაში. და რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ეს ხდება არა ბრმა შემთხვევის ძალით, არამედ საბედისწერო, გარდაუვალ აუცილებლობის შემწეობით.

ტრაგიკული კონფლიქტი, რომელშიაც ვარდება განდეგილი, არის კონფლიქტი თავის თავთან; მტერი, რომელმაც შესძლო ასულიყო მის სიმაღლეზე და შეტაკებოდა მას, არის მისი მეორე მე; ძალა, რომელმაც ბოლო მოუღო მას, არის მისი ბუნება, საშინელი შურის მაძიებელი, აჯანყებული თავის დამმონებელისა და დამთურგვნელის წინააღმდეგ. ეს ტრაგიზმი შინაგან ბრძოლისა, გაორებულ შეგნებისა, ისევე როგორც გოეტეს ფაუსტი, ვაგნერის ტანჰოიზერი, იბსენის როსმერი ან ხუროთ-მოძღვარი სოლნესი, მოწმობს იმ აზრს, რომ კიდევ უფრო საშიში, ვიდრე გარეშე მტერთან შეტაკება, არის ბრძოლა თავის თავთან, თავის ფარულს მესთან, რომელიც მოულოდნელად იღვიძებს შეუგნებელ, ფსიხიურ ცხოვრების ძილისაგან, რათა თავბრუ დამხვევის სისწრაფით გაიტაცოს შეგნება დამღუპველ უფსკრულისაკენ. როგორც „მაკბეტში“ კუდიანები, „ჰამლეტში“ მამის აჩრდილი, მეფისტოფელი „ფაუსტში“, თეთრი ცხენები „როსმერსჰოლმში“ ან დაძირულ ზარის ხმა ჰაუპტმანის დრამაში, ისე მწყემსის ქალი „განდეგილში“ სიმბოლოა ამ მეორე მესი, რომელიც სთვლემდა შეუგნებელ ფსიხიურ ცხოვრების სიღრმეში, განაგრძობდა იქ ფარულს, მუხთალს მუშაობას, სანამ შეგნების ზედაპირზე სულ სხვა, მისი მოპირდაპირე ძალა თავის დრო მოკლე ბატონობას დღესასწაულობდა. და აი მშვენიერ ქალწულის სახით განდეგილის შეგნებაში ამოცურდა მისი ბიწიერი მე, რომელიც მას სამუდამოდ მკვდარი ეგონა, მის გულის ყურამდე მოაღწია სულმა დედამიწისამ, წარმტაცმა ხმამ, რომელიც მას ბარისაკენ იწვევს, უამბობს, თუ რა ლამაზი, მომხიბვლავი და მრავალფეროვანია წუთი-სოფელი:

ან შენ როგორ სძლებ უწუთი-სოფლოდ!
მერე იცი კი რა რიგ ტკბილია:
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.

ის გარემოება, რომ ეს ხმა, რომელთა წუთისოფელი თავის შვილს თავის წიაღში დასაბრუნებლად იწოდებს, იმდენად ახლობელი და ნათესაური აღმოჩნდა მწირისთვის, რომ ბოლოს მაინც შესძლო გაეტაცნა ის, ცხად-ჰყოს თუ რამდენად ძლიერია ადამიანში შეუგნებელი მომენტი, შეუგნებელი ფსიხიური ცხოვრება. განდეგილის ცნობიერება დაკავებული იყო ერთის აზრით, ერთის იდეით, რომელიც ყველაზე მეტად მიწიერებას და სააქაოს სიტკბოებას დაშორებული იყო. იმ მოწოდებამ კი გამოხმაურება იპოვა იმის სულის იდუმალს და ბნელს სიღრმეში, სადაც შეგნების შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ ძალები, რომელნიც მის ზეკაცურს ბუნებას გონების მიერ უარყოფილს ადამიანობასთან აკავშირებდნენ. აქედან წარმოიშვა ის მდგომარეობა, რომელიც განდეგილს საკაცობრიო ტიპად ჰხდის, მის ტრაგიზმს თანამედროვე ადამიანს უახლოვებს, მის საშუალო საუკუნოებრივ აზროვნების მიუხედავად. განდეგილი საუკეთესო პოეტიური გამოხატულებაა ფსიხოლოგიურ მეცნიერების იმ ჭეშმარიტებისა, რომ ადამიანის სულიერი ცხოვრება ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ის ვიწრო ფარგალი, რომელსაც ცნობიერება აშუქებს და ის აზრნი, გრძნობანი და გულის-წადილნი, რომელნიც შეგნების ზედა პირიდან ჰქრებიან, ხშირად წლობით განაგრძობენ შეუგნებლად არსებობას, რათა შემდეგ ნიაღვარისებურის სიძლიერით წალეკონ ის, რაც ამ დროს ცნობიერებას შეუქმნია.

ერთმა თანამედროვე ფსიხოლოგმა სთქვა, რომ ადამიანი იმიტომ იცნობს ასე ნაკლებად თავის თავს, რომ მასში ფსიხიური შესაძლებლობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ფსიხიური სინამდვილე ერთს რომელიმე მომენტში ან ცხოვრების მთელს ხანაშიო. სულიერ შემოქმედებაში, ძლიერ გრძნობებით გატაცებაში ან ინსტიქტიურ ლტოლვათა გაღვიძების დროს, ის რაც ჩვეულებრივ მომენტებში ფსიხიურ შესაძლებლობათ რჩებოდა, სინამდვილედ იქცევა და ხშირად სრულიად სცვლის პიროვნების შეგნებას. ადამიანი განცვიფრებული სდგას თავის ახალ შეხედულებათა, გულისთქმათა და უცნაურ გრძნობათა წინაშე, ხშირად სრულიად დაპყრობილი მათ მიერ და არ იცის, თუ რა ჯადოსნურ ძალას მიაწეროს მათი წარმოშობა. განსაკუთრებით ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა განდეგილის ტრაგიზმი—სქესობრივი ინსტინქტი — შეკავშირებულია ნახევრად შეგნებულს, ან სრულიად გაუგებარს, უცხო მოძრაობასთან და მღელვარებასთან, რომელიც ხშირად სრულიად აკარგვინებს ადამიანს თავის თავს და მის სულიერს

*) იხ. „დროება“, N 106.

ღში წვიმა არ მოვიდა, შიმშილი აუცილებელია. ზოგს კიდევ იმედი აქვს, —თუ წვიმა მოვიდა, შეიძლება გამხმარ ჯეჯილის ძირებმა კიდევ ამოიყარონ და ნაყოფი მოსცესო.

საზოგადოდ ჩვენი გლეხი დიდ სასოწარკვეთილებაშია. არ იცის, რა წყალს მისცეს თავი. მიწამ დიდი ხანია გასწირა იგი. არც სხვა რამ საქმეა, რომ მიწის მუშაობას თავი გაანებოს.

ჩხრეკა და დაპატიმრება ჩვენშიაც არის. იჭერენ უფროსა სომხებს. კაცის კვლამაც იჩინა თავი. ამ დღეებში ასპინძას მოჰკლეს გოკიელი თარაქამა და დასჭრეს ასპინძელი.

„ბუნტად" მონათლულ ნიადაგზე კარგა ხნიდან დაკეტილი ადგილობრივი სამოქ. სასწავლებლის მესამე კლასი კვლავ გახსნეს, მაგრამ გახსნეს ეხლა, ზაფხულის პირზე, როდესაც უკვლგან სწავლას ათავებენ.

წელს, პირველ გაზაფხულზე ადგილობრივმა ქართველობამ წარუდგინა წერა-კითხვის საზოგადოებას განაჩენი განყოფილების დაარსების შესახებ. ხელი აწერა 30 კაცს. მაგრამ დღემდე მთავარ გამგეობისაგან არავითარი განკარგულება და ინსტრუქცია არ მოსულა. საშიშია, დახანებამ გახურებული გულ არ გაანელოს!..

ადგილობრივი მაჰმადიანები სცდილობენ სწავლა-განათლების გზას დაადგნენ. ამ აზრით ახალციხეში მეჩეთთან სასკოლო ქვის შენობას აგებენ, სადაც განზრახული აქვთ მაზრის მაჰმადიან ქართველთა შვილები გაზარდონ სამშობლო ენაზე. საჭიროა ადგილობრივმა ქართველობამაც დახმარება აღმოუჩინონ შენობის დამთავრებაში. წერა-კითხვის საზოგადოებამაც უნდა უყურადღება მიაქციოს ამ საქმეს.

ამ ჟამად ახალციხის მახლობელი ტყეები იწვის.

**აპრაქიჯა.**

---

**ბაქო.** ამას წინად, როგორც ვიცით, მოხდა ბაქოში პირველი კრება წერა-კითხვის საზოგადოების აქაურ განყოფილების წევრთა. კრებას დაესწრო ორმოცდა ათი წევრი (სულ საზოგადოებას დღეს ჰყავს 80 წევრი). კრებას თავმჯდომარეობდა ამ განყოფილების თავმჯდომარე თავ. თაქთაქიშვილი. გამგეობამ კრებას წარმოუდგინა მოხსენება, რომელშიაც აღნუსხული იყო გამგეობის სამოქმედო გეგმა და მდგომარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამგეობას აზრადა აქვს, დაარსოს ბაქოში ქართული სკოლა, მოაწყოს სისტემატიური ლექციები საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ, დაარსოს საკვირაო სკოლები სხვა და სხვა რაიონში, მოაწყოს წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სხვა. შემოსავალ-გასავალი ნაანგარიშებია სამი ათას მანეთამდე.

ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა საორგანიზაციო სასკოლო კომიტეტი შემდეგ პირთაგან: თავ. დადიანი, ქ-ნი ევ. მესხი-გეპნერისა, ბ-ნნი ჯიშკარიანი, მღ. ლიაძე, მღ. ხიდაშელი, ნ. ელიაშვილი, ჭინჭარაძე, ბერელაშვილი, ბოსტაგანაშვილი, გრიგორაშვილი, ბახტაძე და ახვლედიანი. კრებამ, გამგეობის წინადადებით, საჭიროდ დაინახა მოეხდინა დამატებითი არჩევნები გამგეობის ოთხის წევრისა და სარევიზიო კომისიისა. გამგეობის წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: ქ-ნი ევ. მესხი—გეპნერისა, თ-დი დადიანი, გ. ტ. ლორთქიფანიძე და ნ. ი. ჯაფელი. ამ რიგად გამგეობა შესდგება სულ თორმეტ წევრისაგან: ქ-ნი მესხი, თავ. თაქთაქიშვილი, დადიანი, პ. გელოვანი, ბ-ნნი ლორთქიფანიძე, ჯაფელი, თედეშვილი, კოზინეცი, ბილანაშვილი, ხუჭუა, ნაცვლიშვილი და ს. კვიტაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად არიან: ბ-ნნი ქადეიშვილი, ქებაძე და შალვა რამიშვილი, ხოლო მათ კანდიდატებად ეჯოშვილი, ნემსაძე და ა. ახობაძე. საზოგადო კრებამ მიანდო თავმჯდომარეს სამადლობელი დეპეშების გაგზავნა ტფილისში საზოგადოების თავმჯდომარის ბ. ყაზბეგის სახელზე და გაზ. „დროების" რედაქციაში, რომელთაც ჩვენს ახლად დაარსებულ საზოგადოებას უსურვეს ნაყოფიერი მოღვაწეობა.

**პ. გ.**

**გეოგჩაი** (ბაქოს გუბერნია). აქ ადმინისტრატიულის წესით გადმოსახლებული ვცხოვრობთ 13 კაცამდე. ერთმა ჩვენგანმა აქ სასმელ-საჭმლის დუქანი გააღო. დაარსებისას იგი მთელ გეოგჩაის მცხოვრებთ არწმუნებდა, რაც აქ გადმოსახლებული ხალხია, ყველას მე შევინახავო. ასევე არწმუნებდა თვით გადმოსახლებულებს. გეოგჩაის საზოგადოებამაც ხელი შეუწყო, რითაც მოახერხა. გააღო დუქანი და მიიღო სამი გადმოსახლებული მუშა. ეს მუშები იყვნენ იარაღთვის ქარხნის მომუშავენი. მაგრამ შემდეგ სულ სხვა გამოვიდა. დუქნის გამღები გახლავთ სტეფანე ავალიშვილი. გადმოსახლებული მუშები არაფერს ზოგავდნენ დუქნის საქმეების კარგად წასაყვანად. მუშაობას იწყებდნენ დილის ექვს საათზე და ათავებდნენ საღამოს თორმეტ საათზე. როგორც თავიანთ საკუთარ საქმეზე, ისე ერთგულად მუშაობდნენ. და ამიტომაც ჯამაგირი თითქმის არაფერი ეძლეოდათ, ლანძღვა-გინების მეტი. ბოლოს მუშებმა ვეღარ გაუძლეს ასეთ ცხოვრებას, ისევ შიმშილი არჩიეს და დუქანს თავი მიანებეს. ვაჭბატონმა „ხაზეინმა" ზურგი შეიმაგრა და ეხლა გადმოსახლებულ მუშებს, რომელთაც მუქთად შენახვას ჰპირდებოდა, ფულითაც კი აღარ უშვებს თავის დუქანში...

**ივანე გოგობერიძე.**

# პატარა ამბავი

მინდა, მკითხველო, სოფლის ერთი პატარა ამბავი მოგითხრო. ხშირია სოფლად ასეთი პატარა ამბები, ქალაქისთვის ამ გვარი რამ შეუმჩნევლად ჩაივლის ხოლმე, მაგრამ სოფელი კი დიდად იტანჯება.

ჩემი ამბავი ბორჩალოს მაზრის სოფელ ყალამშიას შეეხება.

ოცდა ხუთ წლამდის მღვდლობდა ამ სოფელში კეთილი და ყველასაგან პატივცემული ვასილ მაცუკატოვი. რადგან სოფლად ყოველი მრევლი მოვალეა თავის მღვდელს ბინა აძლიოს, ყალამშიელებსაც ერთხელვე აუშენებიათ სასოფლო ადგილზე მღვდლისათვის სახლი და, რა თქმა უნდა, მამა ვასილიც მოსვლისათანავე ამ სახლში დაბინავებულა. რამდენიმე წლის შემდეგ მას ეს შენობა აღარ მოეწონა და გადააკეთა ზოგი სოფლის დახმარებით, ზოგიც თავის ხარჯით. მამა ვასილის სიკვდილის შემდეგ (1902 წ.) მისი სარჩო-საბადებელი დარჩა შვილს, გიორგი მაცუკატოვს, რომელიც ქალაქ გუმბრიში მღვდლად. მან მიჰყიდ-მოჰყიდა ყველაფერი, დაადო სახლს კლიტე (თუმცა შიგ აღარაფერი დარჩა) და ისევ დაბრუნდა თავის მრევლში.

როდესაც ყალამშიელებს ახლად გამწესებული მღვდელი მოუვიდათ, ამ სახლს, როგორც თავიანთ საკუთრებას, ახსნეს კლიტე და შიგ დააბინავეს. მღ. გიორგი მაცუკატოვმა რომ ეს გაიგო, მობრძანდა ყალამშიაში დიდად განრისხებული: როგორ თუ **ჩემს სახლში** (!?) ჩემს დაუკითხავად თქვენ მღვდელი დააყენეთ, გიჩივლებთ კლიტის გატეხვისათვის და ციმბირისაკენ ვაკვრევინებთ თავსაო. შეშინებულმა ყალამშიელებმა დაუწყეს ხვეწნა-მუდარა: შენი მადლის გულისათვის, ოღონდ მაგას ნუ გვიზამ და, რადგან მამაშენს ამ სახლის გადაკეთებაში ფული დაჰხარჯვია, თანახმანი ვართ იმაში ქირა გაძლიოთო. მამა მაცუკატოვსაც ეს უნდოდა. ჩამოართვა ყალამშიელებს პირობის წერილი, რომ მათ წელიწადში სამ თუმნად იქირავეს სახლი. მოძღვარმა ერთის წლის შემდეგ ეს ქირა იცოტავა და ყალამშიელებს წელიწადში 12 თუმანი მოსთხოვა. მათ უარი განაცხადეს: ისიც ბევრია, რომ ჩვენსავე სახლში სამ თუმან ქირას გვახდევინებო. მ. მაცუკატოვმა სასამართლოში შეიტანა საჩივარი და, რომ მართლა იმის სახლით სარგებლობს სოფელი, ამის დასამტკიცებლად სოფლის მიერვე მიცემული პირობის წერილი გამოიყენა. ჩვეულებრივ დაუდევრობის გამო ყალამშიელებმ ამას ყურადღებაც არ მიაქციეს. ფიქრეს: ალბად მაცუკატოვს სახლის გადაკეთებაზე დანახარჯ-ფულის განიღდება უნდა, ეხლაც გადაგვახდევინებს და შემდეგ თავს გაგვანებებსო. სასამართლომ ყალამშიელების დაუწრებლად გაარჩია ეს საქმე და დააკისრა მათ 76 მანეთი მომჩივნის სასარგებლოდ.

ამის შემდეგ გავიდა თითქმის ორი წელიწადი. ყალამშიელებს კიდეც დაავიწყდათ მ. მაცუკატოვიც და იმის სასარგებლოდ გადახდილი ფულიც. მაგრამ გულკეთილმა მოძღვარმა როდი დაივიწყა ისინი! ის ყველა წირვალოცვაში იხსენიებდა თურმე თავის მოხარკეებს და ორი წლის შემდეგ ბაშკიჩეთის ნაწილის სასამართლოშიაც ახსენა მათი სახელი. ყალამშიელებს მოუვიდათ უწყება, რომ მ. მაცუკატოვი 26 თუმანს სახლის ქირას გიჩივითო. მაგრამ კვლავ ყური არ გაიბერტყეს და ეს საჩივარიც უპასუხოდ დასტოვეს.

ამა წლის 12 მაისს ყალამშიელებს ეწვია სასამართლოს ბოქაული და მ. მაცუკატოვის აღმასრულებელ ფურცლის ძალით საქონელი აუწერა 28 თუმანში (26 თუმანს ორი თუმანი საქმის საწარმოებელი და ბოქაულის გასამრჯელოც მიეკება). ამ ფულისათვის მამა მაცუკატოვს თურმე ახალი ქისაც შეუკერინებია, მაგრამ დახეთ ხიფათს, ქისა დიდი გამომდგარა და იმის გასავსებად 26 კი არა, სწორედ 46 თუმანი აღმოჩენილა საჭირო! ამ ხიფათის გასასწორებლად მ. გიორგის ბევრი აღარ უფიქრნია და დანარჩენი ოცი თუმანიც თავის მოხარკეებისთვის შეუწერია. ესაა მიზეზი თუ სხვა რამე, რა მოგახსენოთ და ის კი ნამდვილია, რომ ყალამშიელები 21 მაისისთვის კიდევ დაიბარეს სასამართლოში 20 თუმნის წარსადგენად მ. მაცუკატოვის სასარგებლოდ.

მკითხველი, ადვილად მიჰხვდება, სადამდის მივა საქმე, თუ მამა მაცუკატოვმა ყოველივე ოც-ოცი თუმანი მოსთხოვა სოფელს. ალბად ამიტომ ყალამშიელების მოთმინებასა და ყურწავდებულობასაც ბოლო მოეღო და გადასწყვიტეს, ყოველი საშუალება იხმარონ უზომოდ მადა გაღვიძებულ მოძღვრის დავისაგან თავის გასანთავისუფლებლად.

რომ ეს ჩვენებურ სულიერ მამის მოღვაწეობის ეტიუდი მკითხველმა საზოგადოებამ შეთხზულად არ მიიღოს, ვაწერ ჩემს ნამდვილს სახელსა და გვარს.

ყალამშიის სკოლის მასწავლებელი

**დავით ძეძამიძე.**

# გადასახლებული ციმბირში

(წერილი ტობოლის გუბერნიიდან)

22 მარტს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფელ დემიანსკოეში (ტობოლს გუბერნიაში) გარდაიცვალა 80 წლის მოხუცი, პოლიტიკური გადმოსახლებული თევდორე ჩაკვეტაძე. იგი გამოგზავნილი იყო სოფელ პლასტუნოვკიდან (ჩერნომორის გუბ., სოჩის ოლქი) 1906 წ. ქალაქ სოჩაში 1905 წელს მომხდარ ამბების გამო.

განსვენებულს ძალიან ენატრებოდა სამშობლოს და შვილების ნახვა, მაგრამ ყოველი მისი შუამდგომლობა უყურადღებოდ დასტოვეს, სანამ ციმბირის სუსხიანმა ჰავამ ტანჯულს ბოლო არ მოუღო. მან დაჰყო ციმბირში 3 წელიწად და, რასაკვირველია, ამ დროს განმავლობაში აქაურმა სასტიკმა ჰავამ ცუდად იმოქმედა ღრმა მოხუცის ჯანმრთელობაზე. აქაურ სასოფლო საავადმყოფოში დაწვა და ხუთი თვის ავადმყოფობის შემდეგ სული განუტევა. დაასაფლავეთ აქვე. დაესწრნენ პოლიტიკურნი, რიცხვით 70 კაცამდე. განსვენებულს ციმბირშიაც დარჩა მემკვიდრენი: მისი ორი ვაჟი, გრიგოლ და კოწია ესენიც ამავე გუბერნიაში არიან ხუთი წლით გადმოსახლებულნი.

ცოტა რამ სოფ. პლასტუნოვკაზე. ეს სოფელი მდებარეობს ჩერმორსკის გუბერნიაში სოჩის ოლქში, 15 ვერსის მანძილზე ქალაქ სოჩიდან, სცხოვრობს ას მოსახლემდე ქართველობა (უმეტესობა გადასახლებულია ლეჩხუმიდან, დანარჩენნი სამეგრელო-იმერეთიდან). საქართველოს ყველა კუთხიდან იბეჭდება ცოტა რამ მაინც, ხოლო ამ სოფლიდან არაფერი შეგხვდება ჟურნალ-გაზეთებში. ეს სოფელიკი მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს და ესაჭიროება სკოლა ან სხვა კულტურული დაწესებულებანი, მით უმეტეს, რომ ამ სოფლიდამა ხალხმა უკანასკნელ დროს დიდი ტანჯვა გამოიარა: მარტო ტობოლის გუბერნიაში ამ სოფლიდან გადმოსახლებულია 40 კაცამდე.

**დროებით ციმბირელი.**

# იაპონია-ავსტრიის კავშირი

ვენური გაზ. „ცაიტ"-ი სარწმუნო წყაროდან შემდეგს იუწყება იაპონია-ავსტრიის საკითხზე:

„იაპონია-ავსტრიის კავშირი რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ვითომ წელს შეკრესო, ნამდვილად ჯერ არ არსებობს, მაგრამ ის-კი მართალია, რომ ეს აზრი ჰკუაში მოსდიოდ ხელმძღვანელ დიპლომატებს [illegible] რომლებიც [illegible] ხელის აღება [illegible] შემოდგომაზე, როცა რუსეთმა მტრობა დაუწყო ავსტრიას, ვენელმა დიპლომატებმა გაიხსენეს, რომ ავსტრიას და იაპონიას საერთო ინტერესები აქვთ, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური. და თუ საქმე კავშირით არ დასრულდა, ეს სხვათა შორის იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ იაპონიამ რუსეთთან ომის შემდეგ ჯერ ვერ მოასწრო თავის საფინანსო საქმეების მოწესრიგება. ჯარისა და ფლოტის მხრივ იაპონია სრულიად მზადაა საომრად, ეგაა მან ჯერ დონეზე ვერ მოიყვანა თავისი ეკონომიური ძალა: თავის ფინანსების მოსაწესრიგებლად იაპონიას დასჭირდება კიდევ რამდენიმე წელიწადი.

ყოველ შემთხვევაში ავსტრია და იაპონია მზად არიან, როდესაც შესაფერი წამი დაჰკრავს, სერიოზული კავშირი შეკრან ერთმანეთთან რუსეთის წინააღმდეგ".

# ოსმალეთი

**ოსმალეთი და ბოლგარია.**

როგორც ვიცით დეპეშებიდან, ოსმალეთსა და ბოლგარიას ისევ უთანხმოება მოუვიდათ. ამ უთანხმოების თაობაზე შემდეგი უთქვამთ ბოლგარიის საელჩოში პეტერბურგში „ნ. მოსკვი"-ს კორესპონდენტისთვის: „რუსეთ-ოსმალეთის და ბოლგარია-ოსმალეთის შეთანხმების ძალით ბოლგარიის ვალი აღმოსავლეთ რუმელიის რკინის გზების საზოგადოებას უნდა გადაუხადოს ოსმალეთმა. ბოლგარია-ოსმალეთის კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე რუმელიის გზის წარმომადგენელნიც, გამოიანგარიშა ზარალი, რომელიც მოსვლოდათ გზის აქციონერებს. მთელი ეს ზარალი უნდა გადაიხადოს ოსმალეთმა. ოსმალეთის მთავრობას აზრით კი ამ ფულის ნაწილი უნდა გადაიხადოს ბოლგარიამ. ბოლგარიის წარმომადგენელი ლიაპჩევი არ დასთანხმდა ამ აზრს. ბოლგარიის საელჩო ჰფიქრობს, რომ ეს უთანხმოება მორიგებით გათავდება და ომს არ გამოიწვევსო".

**ავსტრია-ბოლგარიის კავშირი.**

ვენურ გაზ. „ცაიტ"-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: აქ ჰფიქრობენ, რომ ავსტრია ცდილობს

---

ცხოვრებაში ძირითადს რევოლიუციას ახდენს. როგორც ახალგაზრდა, რომელმაც პირველად იგრძნო ამ ინსტინქტის გამოღვიძება, განდეგილი უმწეოდ, გაოცებული უგდებს ყურს ამ მისთვის უცნობ სიმთა ჟღერას, ჰხედავს თავის უძლურებას სუსტის, ნორჩის ქალის წინაშე. საშიშია არა ეს ნაზი არსება თავის თავად: საშიშია ის ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელიც მისის სულის წყვდიად სიღრმიდან ამოცოცდა უხილავ ჯაჭვის შემწეობით, რომელსაც ვერსად გაექცევა განდეგილი, რომელიც უქადის ერთის დაკვრით გაანადგუროს ის, რაც მის მოღვაწეობას, ლოცვა-ვედრებას და სასოებას წელთა განმავლობაში აუშენებია. ამ სულიერ დრამის საძირკველი უკვე შეურყეველადაა ჩადგმული, როცა მწირი გაშტერებული, ტყვედ ქმნილი სდგას მძინარე ქალის წინ და ძალა უნებურად ემლევა ელემენტარულ ლტოლვის გავლენას:

> დიდხანს დასცქეროდა... ნეტა რა სხივი
> გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
> ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
> ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
> აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
> ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!...
> ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
> და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
> როგორ იწამოს და რა დაარქვას
> ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებასა?
> თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
> სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა.

**15.**

ის ლტოლვა, რომელიც სთვლემდა, სანამ განდეგილი სულისათვის იღვწოდა და რომელმაც პირველს მოხერხებულს შემთხვევასთანავე წამოჰყო თავი და ამით შეურიგებელი დისჰარმონია შეჰქმნა მის შეგნებაში, ერთი უკეთილშობილესი და უმშვენიერესი მომენტია ადამიანურს ცხოვრებაში. ეს არის უძლეველი და მძაფრი ლტოლვა ქალწულებრივისა, გაუშლელისა, გაუფრჩქვნელისაკენ — ბუნებრივი მოთხოვნილება, რომელსაც ასე ხშირად ეწინააღმდეგება და სჩაგრავს კულტურა და სარწმუნოება. უწინარეს ყოვლისა ის იხატება იმ თავ-დამავიწყებელს სიამოვნებას და სიმთვრალეში, რომელსაც ადამიანი ჰგრძნობს გაზაფხულის ბუნების წინაშე, როცა ყოველს კოკორში, გაუშლელს კვირტში, ახლად თავ-ამოყოფილს მწვანეში, ნაზად აბიბინებულს ჯეჯილში ჰხედავს მომავალ დიად ნაყოფიერების ჩანასახს, ჯერ ნორჩს და ქალწულებრივ ხელუხლებელს. რაღაც გამოუთქმელი მიმზიდველობა იმალება ყოველს არსებაში, როცა იგი პაწია და გაუფურჩქვნელია, მაგრამ ამ სიპატარავეში უკვე მომავალ შესაძლებლობათა სიდიადეს გვამცნებს.

თანამედროვე ტეხნიკური კულტურა, რომელიც სცდილობს ყოველი ბუნებრივი შესაძლებლობა სინამდვილედ გაჰხადოს, თანამედროვე ქალაქის ცხოვრება, რომელიც ანადგურებს ელემენტარულს და პირველ-ყოფილს და ჰეტერების ხელოვნებით სტკბება იქ, სადაც მარტივი ბუნებრივობა იყო, ჰკლავს ადამიანში ამ მოთხოვნილებას, ყოველს შემთხვევაში ხელს უშლის მის თავისუფლად განვითარებას.

სულ სხვა მხრიდან ეწინააღმდეგება მას ქრისტიანული სარწმუნოება: ქალწულებრიობის განაყოფიერება ერთი უდიდესი ცოდვაა, რომელმაც ებრაელ და ქრისტიანულ აზროვნების მიხედვით პირველ-ყოფილ ადამიანთ სამოთხე დააკარგვინა და შემდეგ თაობათათვის თვით დაბადება შეჩვენებად და წყევლა-კრულვად გადააქცია. ამიტომ ერთი უმნიშვნელოვანესი მცნება ამ სარწმუნოებისა არის დახშობა ამ ლტოლვისა, მის სიტკბოების უარ-ყოფა, მის წარმტაც მშვენიერების მაცდურებად მიჩნევა; განთავისუფლება მიწიერ სიყვარულისაგან ახლობელისადმი, ბუნებრივ უფლებათა და მიდრეკილებათა ჩაქოლვა, საკუთარ მაზეზარ ასოების ძირიანად ამოგლეჯა ან დამახინჯება, ბუნების მიერ ჩანერგილ ინსტინქტების ჩაკვლა, თვით სიძულვილი თავისსავე სულისადმი და ხელ-ახალი სულიერი დაბადება ქრისტეში, —აი ის იდეალი, რომელიც ისტორიულმა ქრისტიანობამ წამოაყენა (შეად. მათ. V, 39; ლუკ. XIV, 26; მარკოზ, VIII, 34), და რომელიც განდეგილმა შეითვისა, როგორც უდიდესი ჭეშმარიტება რელიგიურ აზროვნებისა. არა ყოველ-მხრივი გაშლა და განვითარება იმ ნიჭთა და შესაძლებლობათა, რომელიც ადამიანსა და ბუნებაში იმალება, არა მშვენიერ ადამიანების შექმნა, არამედ ღვთისაგან დასაბამითვე შექმნილ ერთხელ და სამუდამოდ მომწიფებულ ღირებულების შენახვა შეადგენს უაღრეს მიზანს ამ ცალ-მხრივ, ასკეტურ ფილოსოფიისას.

ამ მწირის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ის რაც თავის-თავად უდიდესი ადამიანობის გამოხატულებაა, უკუღმართ ისტორიულ ბედისწერის წყალობით შეურიგებელს წინააღმდეგობაში იმყოფება ორთოდოქსალურ ქრისტიანობის მსოფლიო მხედველობასთან, რომლითაც ისაა გამსჭვალული. ამ წინააღმდეგობით საზრდოობს საშინელი სულიერი დრამა, მით უფრო სახიფათო და საბედისწერო, რომ აქ თვით განდეგილის სულში ორი ინსტინქტიური, შეურიგებელი ძალა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მართავს ერთი მეორესთან. ქრისტიანულმა ასკეტიზმმა არ იცის, რა არის კომპრომისი: ოცნებაში ცუდი ზრახვის გავლება ისეთივე შეცოდებაა, როგორც ნამდვილი სიმრუშე; ამიტომ მწირის ბედი უკვე გადაწყვეტილია მაშინ, როცა მან სულიერი მთლიანობა დაჰკარგა, როცა მან სავალალოდ თავის ბუნებაში აღმოაჩინა უცხო და თან ასე ნაცნობი, ნათესაური ელემენტი, შეურიგებელი მის წმინდანობასთან. ერთი ნაბიჯის წინ წადგმა მოასწავებს მის წმინდან მეს და მასთან ერთად საუკუნო ნეტარების დაღუპვას:

> ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
> ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით.
> ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
> ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
> იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
> ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა
> და იმა წვევის მაცდურებასა
> ზე არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
> და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
> და დაიხარა თავი თუ არა,
> უცებ გაშეშდა...

მიუხედავად ამ უკანასკნელ სასოწარკვეთილებით აღსავსე ცდისა, მწირში ბოლოს მაინც ადამიანურმა მხარემ გაიმარჯვა მის ზეკაცურს ლტოლვაზე: ის ზღუდენი, რომელთაც სარწმუნოება მართავს ადამიანსა და ბუნებას შორის, ვერ აღმოჩნდნენ საკმაოდ მკვიდრნი, რომ შეეჩერებინათ უკან დაბრუნება წუთისოფლისაკენ, რომ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწიათ იმ ძალთათვის, რომელნიც ადამიანს ბუნებასთან აკავშირებენ;—

> მაგრამ ეგ რაა? „წაწყმდი თუ არა?.."
> ეს ვინ ჩასძახის ნიშნგებით ყურში!
> „დაგძლიე თუ არ"!... ეგ ვინ გაჰკივის
> გახარებული იმის მკვდარ გულში!

მომაკვდავ მეს ამ გამარჯვებას კი უძლეველი აუცილებლობით მოჰყვა საბოლოოდ დაკარგვა ყველა იმ თვისებისა და ნიშანისა, რომელნიც მწირს აცალკევებდნენ ამ ქვეყანაზე და მის პიროვნებას განუმეორებლობის დაღს ამჩნევდნენ: გაჰქრა სასწაულებრივი ხილვა, გაჰქრა ბატონობა შეგნებისა გრძნობებსა და ვნებათა ღელვაზე („სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად, გული სხვას ამბობს, არა ნებდება") და ბოლოს ჟამთა ვითარებამაც ამცნო თავისი შეურყეველი სიძლიერე („დღემდე თვით ჟამი არა რა იყო და ეხლა წუთიც რად უძნელდება"?..)

განდეგილი რომ უბრალო ფილისტერი ყოფილიყო, ზეზერეული გრძნობის და აზროვნების ადამიანი, ადვილად შესძლებდა საბოლოოდ დაეთმო თავისი ძველი იდეალი, შერიგებოდა ახალს ბედს და წყნარად დაბრუნებულიყო ბარში, რათა აქ მშვიდობიანად დაელია დღენი თავის ცხოვრებისა. მაგრამ მისი ტრაგიზმი სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ ეს თითქო რკინისაგან ჩამოსხმული პიროვნება ადამიანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც იდეალი სავსებით ჰფლობს, რომელსაც იდეალი იმდენად აქვს სისხლსა და ხორცში გამჯდარი, რომ მისი დაკარგვა ინდივიდუალურ არსებობის მოსპობას იწვევს: მისთვის ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში არ არსებობს ნავთსაყუდარი და ამიტომ თუ დაჰმა უმუხთლა, ის იალქნებს უშვებს და უფსკრულში ეშვება. ამ გვარად მწირის სიკვდილი ერთად-ერთი შესაძლებელი დაბოლოებაა მის სულიერ ტრაგედიისა, მას შემდეგ რაც იგი დარწმუნდა, რომ უნაყოფოა თვით ცდა ერთხელ კიდევ იხილოს საიმედო სასწაული:

> დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
> გაშრა, გაშეშდა ზარ-დაცემული,
> ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
> და იქვე სხივ-ქვეშ უტევა სული.

განდეგილთან ერთად დამარცხდა ის იდეალიც, ის განსაზღვრული მსოფლიო მხედველობაც, რომლის უძლიერესი წარმომადგენელიც ის იყო: როგორც გოეტეს ფაუსტში, ისე აქ, პირველად ქართულს პოეზიაში, ქრისტიანულმა იდეალმა ქედი მოიხარა ჰუმანიტარულ იდეალის წინაშე, რომელმაც ცალმხრივ ზეკაცობას, ასკეტურს წმინდანობას დაუპირდაპირა იდეა ყოველ მხრივ, ჰარმონიულად განვითარებულ კაცობრიობისა და ადამიანის დანიშნულებად დასახა არა მზადება საიქიო ცხოვრებისთვის, არამედ ამ ქვეყნიურ არსებობის გარდაქცევა მოქმედების მიზნად და სარბიელად. ეს დიადი ჰუმანიტარული იდეალი აკავშირებს ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილთან და მასთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო ლიტერატურულს მიმდინარეობასთან.

**გერონტი ქიქოძე.**

(დასასრული იქნება)

სამხედრო კავშირის შეკვრას იმ შემთხვევისთვის, თუ ავსტრიას ომი მოუხდება ოსმალეთთან. ზოგი ირწმუნება, რომ ეს კავშირი უკვე შეუკრავთო.

ვენელი დიპლომატები ამბობენ, რომ ოსმალეთი, ავსტრია-ბოლგარიის პოლიტიკის პასუხად, ცდილობს სერბიასთან დაახლოვებას და რომ ოსმალეთის ელჩს სერბიაში ამის შესაფერი ინსტრუქცია გაუგზავნეს.

**საუბარი სომხის ქათალიკოსთან.**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტს სტამბოლში უნახავს სომხის პატრიარქი იზმირლიანი და სომხების მდგომარეობაზე უსაუბრნია მასთან. კორესპონდენტს უკითხავს: „რას ჰფიქრობენ სომხები, რა მისწრაფება აქვთ ეხლა, კონსტიტუციის დროს.

— თავდაპირველად სომხები აღფრთოვანებულნი არიან ერთი სურვილით: მათ უნდათ მშვიდობიანად და თანხმობით იცხოვრონ ოსმალეთის ხალხთან. ჩვენ თავდაპირველად გვინდა გარანტია სიცოცხლის და ქონების უშიშროებისა. ხოცვა-ჟლეტა ჩვენ როდი გამოგვიწვევია. სომხები ყოველთვის თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ ახალგაზრდა ოსმალებს დესპოტიზმის დამხობაში. ჩვენ უკანასკნელ საზარელ ამბების ბრალს ოსმალეთის მთელს ხალხს როდი ვდებთ. მის ზურგს უკან იდგნენ ძველი რეჟიმის მომხრეები, რომლებიც მის სახელით მოქმედებონენ. თუ ახალგაზდა ოსმალები ბოლოს მოუღებენ სომხების დევნასა და ხოცვას ოსმალეთში, ეს დიდი საქმე იქნება და ჩვენც სრული უფლება გვაქვს ამის იმედი ვიქონიოთ. თუ ახალგაზდა ოსმალებს ნამდვილად აქვთ შეთვისებული თავისუფლების აზრები, ისინი ყოველნაირად ეცდებიან, რომ ადანის ამბებისთანა მხეცობა აღარ მოხდეს. და თუ ისინიც ვერ მოახერხებენ ამას, თუ სომხები ხელახლად გახდებიან პოლიტიკურ ბრძოლის მსხვერპლად, როგორც ამას სცდილობენ რეაქციონერები, რომლებსაც უნდათ ახალგაზდა ოსმალების სახელი გატეხა და სახელმწიფოების საქმეში ჩარევა, — მაშინ ჩვენ მეტი გზა არ დაგვრჩება, რუსეთს უნდა მივმართოთ და კაცთ-მოყვარეობის სახელით ვსთხოვოთ ოსმალეთის სომხების მფარველობა იკისროს. დამეთანხმეთ, რომ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ხელშეუხებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ მებრძოლ პოლიტიკურ პარტიის გამარჯვებაზე. დღეს ახალგაზდა ოსმალების სახელის გასატეხად ჩვენ გაგვწყვეტენ ძველი ოსმალები, ხვალ-ახალგაზდა ოსმალები!.. მერე გაჩნდება ახალი პარტია, რომელიც ძველი და ახალი ოსმალების შესარცხვენად ისევ ჩვენ მოგვისევს ფანატიკოსებს!

ჩვენ გვინდა გარანტია, რომ ამიერიდან აღარ დაგვხოცენ, ხოლო ამ გარანტიას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ისეთ პირობებში, რომლებიც აუცილებლად გახდიან მის შესრულებას. ეს პირობაა — პროტექტორატი და დახმარება რუსეთისა, სწორედ ისე, როგორც საფრანგეთი მფარველობს კათოლიკებს ოსმალეთში.

პროტექტორატზე ლაპარაკი ახალი როდია. იგი დაიწყებს პირველად 12 წლის წინად, სომხების საშინელ ხოცვის შემდეგ, მაგრამ მაშინ სამწუხაროდ ეს საქმე არ მოხერხდა. ოსმალეთმა ისევ თავის ძველ ხერხს მიმართა: დაპირებას, გარიანტიებს. თუმცა ამ დაპირებამა დაუშალა მას სომხების აკლება და დახოცვა, როცა ეს საჭიროდ მიაჩნდა.

სომხის ერს გულმხურვალედ სწამს, რომ ამიერიდან მას შეაძლებინებენ დინჯად და თავისუფლად ცხოვრებას. მაგრამ თუ რომელიმე მხარე კიდევ მოინდომებს ახალ მხეცობის ჩადენას, ხოლო მთავრობა უძლურებას გამოიჩენს და ახალ ხოცვა-ჟლეტას ვერ ააცილებს სომხებს თავიდან, მაშინ ყველანი დარწმუნდებიან, რომ საჭიროა ახალ ღონისძიების მიღება, სახელდობრ — პროტექტორატი. ამაზე მე უკვე საუბარი მქონდა რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენლებთან. ეხლა პეტერბურგში მივდივარ და ვეცდები, რომ რუსეთის მმართველ წრეებსაც დავუმტკიცო ამ აზრის სიმართლე, მეტი გზა არა გვაქვს.

იმავ გაზეთის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: როგორც გავიგე, რუსეთის დიპლომატიას არა ჰსურს რუსეთის პროტექტორატის დაწესება ოსმალეთის სომხებზე, თავდა-პირველად იმიტომ, რომ ასეთს ნაბიჯს რუსის მთავრობისას სტამბოლში ჩასთვლიან ოსმალეთის შინაგან საქმეებში ჩარევად.

**კრიტოსის საქმე.**

წარსულ წელს ივლისში ოთხი დიდი სახელმწიფო — ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და რუსეთი, — რომლების პროტექტორატს ქვეშ იმყოფება კუნძული კრიტოსი, დაჰპირდნენ კუნძულის უმაღლეს კომისარს ზაიმისს რომ 1909 წლის განმავლობაში კუნძულიდან გავიყვანთ ჩვენ ჯარებს რომლებიც 1897 წლიდან იმყოფებიან კუნძულზე. ეგაა ყველა სახელმწიფომ ერთნაირის სიჩქარით როდი შეასრულა ეს დაპირება ყველაზე მეტად დააგვიანა ინგლისმა. ხოლო კუნძულ კრიტოსის საქმე ძლიერ გამწვავდა იმის შემდეგ, როცა წარსულ წლის ოქტომბერში ავსტრიამ ბოსნია-ჰერცოგოვინა შეიერთა და ბოლგარიამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამ ამბების ზედმოქმედებით კრიტოსის ეროვნულმა კრებამ დაადგინა, კუნძული საბერძნეთს შევუერთოთო. ოსმალეთმა მაშინვე გამოაცხადა პროტესტი, მაგრამ კრიტოსის საქმე იმ დროს დაჩრდილა და უკან დააყენა ავსტრია-ოსმალეთისა და შემდეგ ავსტრია-სერბიის კონფლიქტმა, რომელმაც მთლად შთანთქა ევროპის დიპლომატიის ყურადღება. ეხლა-კი ამ საქმეს იტალიის დიპლომატიის მეცადინეობით ხელახლად აუშალეს თავი. როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, ევროპის სახელმწიფოებს შორის ამ საქმეზე არ არსებობს თანხმობა. რუსეთს და საფრანგეთს არა ჰსურთ, რომ კრიტოსის საქმე ეხლა გადასწყდეს; ინგლისი მზადაა ბერძნების სურვილი დააკმაყოფილოს, მაგრამ იგი თანხმობისათვის თხოულობს ერთ-ერთ ნავთსადგურს კრიტოსზე. იტალია წინააღმდეგია ინგლისის ასეთის მოთხოვნისა, მაგრამ იგი თითონაც თხოულობს ქვა-ნახშირის სადგურს კუნძულზე. რაც შეეხება ოსმალეთს, ახალგაზდა ოსმალები დღემდე გადაჭრით ირწმუნებიან, რომ კუნძულ კრიტოსს არა დროს არ დაუთმობთ ბერძნებსაო, და აცხადებენ, რომ თუ საბერძნეთი თითონ შეიერთებს კუნძულს, უთუოდ ომს გამოუცხადებთ საბერძნეთსაო.

ავსტრიის დიპლომატთა წრეები ჰფიქრობენ, რომ ამ მოკლე ხანში კუნძული კრიტოსი ძლიერ აალაპარაკებს ქვეყნიერობასო. ამბობენ, რომ ამ საქმის ნამდვილი თავის ამშლელი არიან გერმანია და ავსტრიაო; გერმანია ოსმალეთის შურს იძიებს, რადგან ახალგაზდა ოსმალები ინგლისს უმეგობრდებიან და გერმანიას მტრულად უცქერიანო. გერმანიის იმპერატორი სწორედ ამ საქმისთვის იყო ამ ერთის თვის წინად კუნძულ კორფუზე, საბერძნეთს ახლო სადაც მან ინახულა საბერძნეთის მეფე და შესაფერი დარიგება მისცაო. ამბობენ, ვითომ საბერძნეთს კრიტოსის გარდა ბალკანეთში სწადიან ეპირის დაჭერაც თავის სამფლობელოს ახლოო. ინგლისური და ფრანგული პრესა ბეჯითად ურჩევს საბერძნეთს ფრთხილად მოიქცეს და წინ-დაუხედავ მოქმედებით ომი არ გამოიწვიოს ოსმალეთთან; ეს რჩევა მოქმედებს კიდეც საბერძნეთის მთავრობაზე, მაგრამ მეორეს მხრით არც გერმანია და ავსტრია უხავენ და ბეჯითად აქეზებენ საბერძნეთს ოსმალეთის წინააღმდეგ.

# სპარსეთის ამბები

**სამინისტრო სამსახურიდან გასულა.**

რუსულ გაზეთებს ატყობინებენ თეირანიდან: „ახალი სამინისტრო სამსახურიდან გადადგა. საარჩევნო კანონი ჯერ არ შეუმუშავებიათ. რუსეთის საელჩო მხარს უჭერს პოლკოვნიკ ლიახოვს.“

**რუსის ჯარი თავრიზში.**

„გოლ. მოსკვი“-ს კორესპონდენტი იუწყება თავრიზიდან: „ხმა დადის, რომ რუსის ჯარი მალე დაბრუნდება რუსეთშიო. მიუხედავად ამისა, ამ დღეებში აქ მოელიან რუსის აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების განყოფილებას. ჯერ-ჯერობით შინ დაბრუნდნენ სამსახურიდან დათხოვნილი ძღუშები, რომლებიც იცავდნენ ჯულფის გზასა და საბაჟოს. რუსის რაზმი კარგადაა.“

**საშიში ნიშნები.**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი სწერს: „თუმცა კონსტიტუცია გამოაცხადეს, მაინც თეირანში ხალხი ძლიერ ცუდ გუნებაზეა. კერეჯის ხიდზე (თეირანის გზაზე) ხემი ეტლი ყაზახებმა გააჩერეს და გაჩხრეკა დაიპირეს. გაჩხრეკისგან დაიხსნა რუსის საელჩოს მსახურმა, რომელიც ხემ წინ ფოსტას მისდევდა. მან აუხსნა ყაზახების უფროსს აფიცერს, ევროპიელების გაჩხრეკის უფლება არა გაქვთო. სპარსელი მგზავრები-კი მეტად ბრიყვულად გაჩხრიკეს.

თეირანის ახლო შეგვხდა არტილერიის რაზმი, რომელიც კერეჯის პოზიციაზე მიდიოდა. მას აქეთ რაც რევოლიუციონერებმა იარაღი აიყარეს, ყაზახთა ბრიგადა მეტად მხნედ იქცევა კაზვინში. კაპიტანი ზაპოლსკი გუში გზით წავიდა ზენჯანში, სადაც ამ ჟამად იმყოფება ეინუდ-დოვლე თავის ჯარით.

თუმცა რევოლიუციონერები ირწმუნებოდნენ, ხელს არ ვახლებთ ეინუდ-დოვლეს ჯარსაო, მთავრობამ მაინც განსაკუთრებული ღონისძიება მიიღო. შაჰის ჯარი კაზვინში რუსის აფიცრის წინამძღოლობით შევა.

**ბოიკოტი.**

ტფილისში კიდევ მიიღეს კერძო ცნობა, რომ ნეჯეფის მუშტეიდი მალე გამოაცხადებს ბოიკოტს იმ სახელმწიფოების საქონლის წინააღმდეგ, რომლებმაც ჯარი არ გაიყვანეს სპარსეთიდანაო.

# რუსეთი

**სამართალში მიცემა**, გაზეთების სიტყვით ს. ხელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მილიუკოვი სამრთალში აძლევს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ლიდერს ექიმ დუბროვინს. დუბროვინმა თავის გაზეთ „რუსკ. ზნამიაში“ წერილი დასტამბა, სადაც ამბობდა, რომ მილიუკოვი ამერიკაში რუსეთის დიდ პირების დახოცვას ჰქადაგებდაო.

**ოქტომბრისტების ფრაქცია და გუჩკოვი.** „კასპს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: „სათათბიროს დეპუტატმა გუჩკოვმა უარი განაცხადა, ოქტომბრისტების ფრაქციის თავჯდომარობა აღარ შემიძლიანო. გუჩკოვს ამის მიზეზად ის მოჰყავს, რომ ფრაქციაში უთანხმოებაა, მის დადგენილებას ზოგიერთები არ ემორჩილებიან, რითაც ფრაქციას სახელ უტეხამენო.

**„ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“** როცა გამოქვეყნდა, რომ გერცენშტეინის მოკვლა დუბროვინის საქმეა, მას შემდეგ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირიდან“ აურაცხელი წევრები გადიან. „კავშირის“ ლიდერები ძალიან ცუდად გრძნობენ თავს. თურმე დღე ისე არ გაივლის, რომ რამდენიმე ასმა კაცმა საწევრო ბილეთები არ დააბრუნოს, წევრობა აღარ გვინდაო.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: სარატოვში 5, პერმში 3, ჩერნიგოვში 1, კიევში 2, ეკატერინოსლავში 1, ნოვოჩერკასკში 3, კაზანში 2, ჩერნიგოვში 1, ორიოლში 2 კაცს: სიკვდილით დასაჯეს: კიევში 3, ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, ვარშავაში 1, კამენეც-პოდოლსკში 2, ოდესაში 1 კაცი.

**ახალი საარჩევნო კანონი.** „რუსკ. ვედომ“ სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში ლაპარაკობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს კურლოვს მიანდეს ახალი საარჩევნო კანონის შემუშავებაო.


!!!ავადმყოფთა საყურადღებოდ!!!

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

СПЕРМИНЪ ПРОФ. ДОКТОРА ПЕЛЯ

SPERMINUM POEHL

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია **პროფესორ დოქტორის პელის და შვილების ორგანოტერაპევტიულ ინსტიტუტის** მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთელ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია **ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ქარების, გულის ავადმყოფობის** (აიმიავნის, გულის სკლეროზის' გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), **არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.**

**ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.**

სპერმინ-პელისა იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia Spermini-Poehl) 1 ფლაკონი—3 მ., აგრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასრულებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლიზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm.) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოდ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ“ (მეორე გამოცემა), სადაც აღნიშნულია პროფესორ დ—რ პელის სხვა ორგანოპრეპარატები. ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

**ორგანოტერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბარატორია და აფთიაქი**
**პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა**

პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი საჩუქარი (Grands Prix) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(4—მეტ.—4) 57670.—Л. и Э. Метцль и Ко.



ШВЕЙНЫЯ МАШИНЫ КОМПАНІИ ЗИНГЕРЪ

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან

● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●

**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე, სასახლის პირდაპირ; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (15—გაჟ.—11)

THE SINGER MANFG. CO. TRADE MARK



პირველი კერძო სამკურნალო

დოქტ. ნავასარდიან სა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. **ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
ყ. მ. **ჩიქოვანი**: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. **ბაბანასოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. **აველისიანცი**: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. **პუგინოვი**: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. **კარაპეტიანცი**: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. **ტურბოვიჩი**: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ვ. **გეევსკაია-ენგელი**: 6—6 ნახევ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. **მარციშევსკი**: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—89)



სურამში

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ ისყიდება საუკეთესო საააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი **ფიჭვის და მუხის პარკი**. ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწდომი: **ორი აბაზიდგან ოთხკუთხი საჟენი**. შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—2)



გაფრთხილება

დ. ზ. სარაჯიშვილისა

კანტორა ტფილისში.

ЗАВОДСКАЯ МАРКА

ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი **მოწადინებულნი არიან** ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად **გამოუშვეს არაყი და არყის სხვა ნაწარმოებნი** ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ ბ-ნნი მომხმარებელნი.

ზოგნი არ **დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის** ასოებით აღნიშნეს **დ. ზ. სარაჯიშვილი,** ხოლო წვრილის, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს **ყოფილი მოსამსახურენი.**

ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენის ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ **დ. ზ. სარაჯიშვილის** სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი **„ყოფილი მოსამსახურენი“**, და საქარხნო მარკას **„ჯიხვი კლდეზე“**. (20—234—7)



პროვოდნიკის

ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. Р. ПРОВОДНИКЪ РИГА

1897 წ. 1908 წ. 1888

ПОСТАВЩИКЪ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ВЕЛИЧЕСТВА

ამხანაგობა
რიგაში
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნარდად და ცალობით: ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი** სულ ახალი საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **ჭამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ღრუბელი**;

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა


სტამბა „ხინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. ავლაძე.